ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

19 აგვისტო, კვირა, 1990 წ.
№ 156 (10 325) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# ერის ჯანმრთელობა– საყოველთაო საზრუნავი! SOS!

# SOS!

● საქართველო, ქართველი ერი, მუდამ ისწრაფოდა სულიერი და ფიზიკური სრულყოფისაკენ, ეს იყო ეროვნული თვითდამკვიდრების ერთ-ერთი მკაფიო მიზანი. დღეს ერის ფიზიკური სრულყოფის საკითხი მოწყვეტილია ჩვენში ოდითგანვე გამომუშავებულ ხალხურ სისტემას: ფიზიკური აღზრდის იმ საშუალებებმა და მეთოდებმა, რომლებიც ზემოდან იყო ნაკარნახევი ერის ტრადიციების გაუთვალისწინებლად, ვერ გაამართლა. დღეს ჩვენ საფრთხის წინაშე ვართ.



● როგორც უნდა გვიჭირდეს, როგორი მოუცლელებიც უნდა ვიყოთ, ერის ფიზიკურ გაჯანსაღებას, ხალხის ჯანმრთელობას მაინც უნდა მივხედოთ.

სულიერი სრულყოფა არ არსებობს ფიზიკური სიჯანსაღის გარეშე. დღეიდანვე უნდა გავაკეთოთ არჩევანი: ან ფიზიკურად დაძაბუნებულმა უნდა შევდგათ ფეხი თავისუფალ საქართველოში, ან სიმხნევითა და სიჯანსაღით მხრებგამართულებმა.

ერის ფიზიკურ სიჯანსაღეზე ზრუნვის გადადება სახვალიოდ არ შეიძლება.

● ხალხის, განსაკუთრებით მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე ყველა უნდა დაფიქრდეს. ეს საერთო საზრუნავია.



● **დიდ სპორტს შორს გააქვს საქართველოს სახელი, ფიზიკურმა კულტურამ, რომლის სიკეთეს ყველა უნდა ეზიაროს, შინ უნდა მოგვიტანოს სიხარული და სიამაყე.**

● მივხედოთ სპორტულ ძეგლებად ქცეულ სტადიონებს, უწყლო საცურაო აუზებს, გამოცარიელებულ სპორტულ დარბაზებს, აბალახებულ და გასაცოდავებულსპორტულ მოედნებს ქალაქად თუ სოფლად. ჩავაყენოთ ისინი ხალხის კეთილდღეობის სამსახურში.

● **მუშაობის მთელი სიმძიმე უნდა გადავიტანოთ საცხოვრებელ ადგილებში, ეს მთელს მსოფლიოში ხალხის გაჯანსაღებისათვის აპრობირებული ფორმაა.**



● შრომითმა კოლექტივებმა, სასწავლებლებმა, სახლმმართველობებმა, ყველა ორგანიზაციამ, სადაც ადამიანთა გაჯანსაღებისთვის ისედაც ძალიან უმნიშვნელო თანხებია გამოყოფილი, თავიანთ სახსრებს თავი უნდა მოუყარონ საცხოვრებელ ადგილებში ახალშექმნილ რეალურ (და არა ფორმალურ) გამაჯანსაღებელ კლუბებში.

● იმედი გვაქვს, სახალხო დეპუტატთა ალმასკომები და უწყებები კომუნალური ბინების არასაცხოვრებელ ფართობს (I სართული, სარდაფი) დაუთმობენ გამაჯანსაღებელ კლუბებს.

სასწრაფოდ გვჭირდება დებულება სამეურნეო ანგარიშზე საცხოვრებელ ადგილებში გამაჯანსაღებელი კლუბების მუშაობის შესახებ. მათ უნდა მივცეთ შემოსავლის მიღებისა და ამ შემოსავლის მთლიანად ხალხის ჯანმრთელობისთვის გამოყენების შესაძლებლობა.

● ჩვენ ვიცით, რომ ამ საკითხების მოგვარება სირთულეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ მეტის დახანება აღარ შეიძლება, ერის ჯანმრთელობა საფრთხეშია!





SOS!



„ლელოს" რედაქციას დღეს ერთხელ კიდევ წინა პლანზე წამოწეული პრობლემის ბოლომდე მიყვანა აქვს განზრახული. გვაქვს კონკრეტული მოსაზრებები, რომლებსაც გავაცნობთ საორგანიზაციო კომიტეტს. იგი ამ დღეებში შეიქმნება. ყველა დაინტერესებულ სპორტულ ორგანიზაციებს, უწყებებს და სამინისტროებს ვთხოვთ მხარდაჭერას. წარმომადგენელთა პირველი შეხვედრა, რის შემდეგაც ჩამოყალიბდება საორგანიზაციო კომიტეტი, დანიშნულია ოთხშაბათს, 22 აგვისტოს, 15 საათზე, „ლელოს" რედაქციაში. გთხოვთ, მობრძანდეთ!

# ხალხი მოითხოვს, ყური მივუგდოთ!

## ვაშლიჯვარში

თბილისში ბევრ საცხოვრებელ მიკრორაიონში არ არის არავითარი სპორტული სარბიელი, თუნდაც ისეთი, ბავშვებმა რომ სათამაშოდ გამოიყენონ. ასეა ჩვენთანაც. ვაშლიჯვრის დასახლების X-ბ კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩვენი ძალებით გავჭერით კლდოვანი ქანები და მოვასწორეთ ადგილი. ვთხოვთ ქალაქისა და რაისაბჭოს აღმასკომებს დაგვრთონ ნება სპორტული მოედნის მოსაწყობად (წერილს თან ერთვის პროექტი).

**ვაშლიჯვრის დასახლების მცხოვრებთა სახელით: ჯ. ოყროშიძე, ნ. ქორიძე, ო. აბულაძე, ვ. ჯამბრაშვილი და სხვები.**

საბურთალოს რაიონის ვაშლიჯვრის დასახლების საექსპლოატაციო-საბინაო კანტორის შენობაში, „ლელოს" თაოსნობით და რაიონის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, გამოიყო ფართობი. იგი გადაკეთდება სატრენაჟორო სპორტულ დარბაზად, რომელიც მოემსახურება მოსახლეობას. სპორტსაზოგადოება „შევარდენის" დახმარებით შედგა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, მაგრამ ჩასატარებელია 24 ათასი მანეთის სამუშაოები, თანხა არის, მშენებელი კი ვერ გამოიძებნა.

## დიდ დიღომში

მოსახლეობამ წამოაყენა წინადადება, პეტრიწის № 15-ში საცხოვრებელი სახლის პირველი სართული გამოეყოს გამაჯანსაღებელ კლუბს. საკითხის დასმის შემდეგ აღნიშნულ ფართობს დაპატრონების ბევრი მსურველი გამოუჩნდა. „ლელოს" რედაქციას იმედი აქვს, რომ მოსახლეობის მოთხოვნა დაკმაყოფილდება. მით უმეტეს, რომ სწორედ აქ არის გათვალისწინებული გაიხსნას ფორმით და შინაარსით ახალი პირველი გამაჯანსაღებელი კლუბი მიკრორაიონის მცხოვრებთათვის.

საბოლოო პასუხს საბურთალოს რაისაბჭოს აღმასკომიდან და ქალაქის საბჭოს შესაბამისი სამმართველოდან ველით.

## წერილი ჭიათურიდან

ჩვენი სოფლის საფეხბურთო მოედანი, რომელიც სოფლიდან მოშორებითაა, სანახევროდ წყალმა წალე- [illegible] დარჩენილ [illegible] ტერიტორიაზე [illegible] მეტრის დაშორებით. კოლმეურნეობაში შედის აგრეთვე სოფლები ქვაციხე, საკურწიო და რცხილათი, სადაც არავითარი სპორტული მოედანი არ არის. მოვითხოვთ, ქვაციხეში მაინც გამოყონ ადგილი, მაგრამ უარს გვეუბნებიან. ბილის მოედანზე, რომელიც დიდი ზარზეიმით გაიხსნა, წყალი დგება და მხოლოდ ცხელ ზაფხულში თუ ამოშრება ხოლმე. 9 თვე მოედანი უვარგისია. ჩვენ თავს აღარ ვდარდობთ, ბავშვებს [illegible] გულის ვუწყევებს, სად ითამაშებენ?

**ოლეგ ჩუბინიძე,**
**ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს გვირაბგამყვანი.**
სოფელი ქვაციხე.

# გამოგვეხმაურეთ, გამოგვეხმაურეთ, გამოგვეხმაურეთ!

# თუმცა შრიგო შედეგი არ არის

მსროლელთა მსოფლიოს 45-ე ჩემპიონატი დღეს მთავრდება. გუშინ კი მედლები გაინაწილეს ადგილიდან მსროლელმა მესტენდურეებმა: მაია გუბიევას, მას შემდეგ რაც ვერცხლის მედალი მიიღო გუნდურ პირველობაში, პირადი პირველობის ჯილდოზეც ეჭირა თვალი, მაგრამ მისთვის უიღბლო აღმოჩნდა ასპარეზობის მესამე დასკვნითი დღე. დარჩენილ ორ სერიაში (50 გასროლა) თბილისელმა მსროლელმა მხოლოდ 42 ქულა მოაგროვა — საერთო ჯამში 179 და საბოლოოდ მე-7 ადგილზე გავიდა. თუმცა ეს შედეგიც 21 წლის დებიუტანტისთვის ურიგო მიღწევა არ არის, თუ ვიტყვით, რომ დიდ წარმატებებს სასტენდო სროლაში უფრო მოგვიანებით აღწევენ ხოლმე.

ადგილიდან სროლაში ქალთა შორის ჩემპიონი გახდა იტალიელი პია ბალდიზერი (189 ქულა), მეორე ადგილზე მისი თანაგუნდელი რობერტა პელოზი გავიდა (188), ხოლო მესამეზე — ჩინელი იუინ ვანგი — 184.

„ლელოს" სპეც. კორ. (ტელეფონით).

# გასამდა

## საქართველოს „კლასიკოსთა" გამარჯვება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე

საქართველოს მოჭიდავეები კარგად გამოდიან მოსწავლეთა ამჟამად მიმდინარე საკავშირო სპარტაკიადაზე. უკვე ჩატარებულ სამ სახეობაში (თავისუფალი, კლასიკური, სამბო) ჩვენმა ფალავნებმა სამი გუნდური გამარჯვება მოიპოვეს, მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს პირად ასპარეზობაშიც — 28 მედალი, რომელთაგან 12 უმაღლესი ხარისხისაა, 5 — ვერცხლისა და 11 — ბრინჯაოსი.

ახლახან ბელორუსიის დედაქალაქ მინსკიდან დაბრუნდნენ „კლასიკოსები", მათ ბრწყინვალედ იასპარეზეს, გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს და უახლოესი მეტოქე, ბელორუსიის ნაკრები მთელი 42 ქულით ჩამოიტოვეს. ამ წარმატებას განსაკუთრებული ფასი აქვს თუნდაც იმიტომ, რომ მას მიაღწიეს „გასვლაზე", ასე ვთქვათ, ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგის „მოედანზე".

ორი ჩემპიონი, ოთხი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი იმაზე მიგვანიშნებს, რომ გუნდის დამრიგებლებმა (უფროსი მწვრთნელი — დათო დავითაია, გუნდის უფროსი — იოსებ მელქაძე, მწვრთნელები — თამაზ ტუხაშვილი, ვაჟა კრაველიშვილი, აკაკი ბალხამიშვილი, ილია ვარშანიძე, აკაკი ჯანგავაძე და ჯემალ მეგრელიშვილი) ყველა წონაში თანაბრად ძლიერი და მობილიზებული გუნდი ჩაიყვანეს. სხვათა შორის, როგორც უფროსმა მწვრთნელმა დათო დავითაიამ განაცხადა, კოლექტივს, ასპარეზობისათვის მზადების პერიოდში აქტიურ და საქმიან დახმარებას უწევდა ყველა და სწორედ ამან განაპირობა მისი კარგი გამოსვლა სეზონის მთავარ შეჯიბრებაში.

როცა ასეთ მნიშვნელოვან გამარჯვებაზეა საუბარი, ძნელია ცალკე რომელიმე მოჭიდავის გამოყოფა. ძნელია იმიტომ, რომ დიდი წარმატება მუდამ კოლექტიური გარჯისა და თავგანწირვის ფასად მოდის. მაგრამ ერთი ორი სიტყვა ლაურეატებზე მაინც უნდა ვთქვათ.

მინსკის სარბიელზე ოქროს მედალი ორმა ჩვენმა მოჭიდავემ დაიმსახურა — ოზურგეთის „შევარდენის" წარმომადგენელმა დავით სირაძემ (52 კგ. მწვრთნელი ზ. ზურაბიანი) და ქუთაისის „მართვეს" წევრმა ლევან გაბუნიამ (64 კგ, მწვრთნელი ნ. აფხაზავა). მათი წარმატება, უმთავრესად, მათივე მაღალი ოსტატობით იყო განპირობებული. ისინი მთელი თავით მაღლა იდგნენ მეტოქეებზე და ამ წონებში სხვა მოჭიდავეთა გამარჯვება. ფა-

იხ. მე-4 გვ.

# ეძიებდა და... მეტს პოულობდა

### რაოდენს გასწვდა მჭურვალე გული...

ბატონ რეზო თაბუკაშვილზე მის სიცოცხლეში იმდენი არ თქმულა და დაწერილა, რამდენსაც ეს სახიჭადული მამულიშვილი იმსახურებდა. იგი თავად იყო ის პიროვნება, ვინც სხვისი ნაამაგარის გამომზეურება გაიხადა ცხოვრების მიზნად და სიცოცხლის ბოლომდე უანგაროდ ილვაწა ჭეშმარიტი მამულიშვილების სახელთა უკვდავყოფისთვის.

ქართველმა ერმა გულწრფელად დაიტირა თავისი სახელოვანი შვილი და კვლავაც ღირსეულ პატივს მიაგებს მის ხსოვნას. ის, რაც რევაზ თაბუკაშვილმა გააკეთა, აშკარად აღემატება ერთი კაცის შესაძლებლობებს, მაგრამ ეს მან შეძლო, შეძლო საკუთარი თავის სამშობლოს სამსხვერპლოზე მიტანით. ხად არ მიუწვდებოდა ხელი ბატონ რეზოს. ეძებდა ერთს და გზადაგზა პოულობდა უფრო მეტს, ვიდრე მოელოდა. იყრებოდა ძიების გზები, მაგრამ კვლავ ერთდებოდა... სამშობლოში, საიდანაც ამ დიდი გზების ბილიკი იღებდა სათავეს. არც რესპუბლიკის სპორტული სამყარო დარჩენილა ამ ნათელი კაცის ყურადღების გარეშე. შთამომავლობას შემორჩა ბატონი რეზოს ნიჭით მადლცხებული ფილმი „მიხეილ ხერგიანი".

გვახსოვს, როგორი წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ნამუშევარმა ჩვენს მაყურებელზე. საქმე მხოლოდ ის როდია, რომ შეიქმნა უაღრესად შთამბეჭდავი ფილმი, არამედ ისიც, რომ ეს იყო უპრეცედენტო ფაქტი ჩვენი სპორტისთვის.

ნახეთ, რაოდენ ამაღლებული, სულის შემძვრელი, მაგრამ, ამავე დროს, თანამემამულეთა სიმამაცის გამო სიამაყის მომგვრელია ფილმის დასაწყისის ტექსტი, რომელსაც თავად კითხულობს რეზო თაბუკაშვილი: „ეს ფილმი ეძღვნება ყველა ადამიანს, შეპყრობილს მთების სიყვარულით, შეპყრობილს კაცთათვის ზეკაცური ძალის მიმნიჭებელი ჟინით, ჟინით ალმასვლისა და ამოუცნობის ამოცნობისა. იქნებ ბევრისთვისაა გაუგებარი ეს უცნაური ლტოლვა, რადგან მთებზე შეყვარებულთ მხოლოდ მათთვის გასაგონი ხმით ეძახიან დაუპყრობელი მწვერვალები. ვიგონებთ გარდასულთ, მიუვალ კლდეზე ზვავსა თუ ყინულეთში ვინც აღესრულა, ვინც არ ისურვა უსაფრთხო შარაგზაზეც მარტოდ სიარული და სიკვდილ-სიცოცხლის ბაწრით გადაება მოძმეს თვისას, ვინაც ზნეობის უმაღლესი მწვერვალი დაიპყრო, მაშინაც კი, როცა მთის მწვერვალის დაპყრობა არ მოხერხდა, ვისაც ფრთები ესხა, რამეთუ თვალშეუდგამ კლდეზე ცოცვა მისთვის ფრენა იყო. ეს ფილმი მოკრძალებული პატივია დამარცხებულთა გამარჯვებისა. ნათელი იყოს ხსოვნა თქვენი, ვინც სამარის ლოდებად აირჩიეთ მთანი მაღალნი".

ნათელი იყოს ხსოვნა თქვენი, ბატონო რეზო, ვისაც სამარის ლოდად ერის უსაზღვრო სიყვარული გარგუნათ განგებამ.

ყველა ქართველს თავის დროზე იხეთივე ზარი დასცა მიხეილ ხერგიანის სიკვდილმა, როგორიც ახლა ბატონი რეზოს სიცოცხლის აღსასრულმა. და, თუ დღეს ჩვენ ხელთ გვაქვს „კლდის ვეფხვის" სიცოცხლის ბოლო წამების ამსახველი დოკუმენტური ფოტო, რომელიც ხერგიანის თანამეწყვილეს იმ საბედისწერო დღეს გადაუღია დოლომიტის მთებში, ესეც ბატონი რეზოს დამსახურებაა.

...ბატონი რეზო თავად სულიერად და ფიზიკურად შესაშურად სრულქმნილი ადამიანი გახლდათ. მან იცოდა, რომ არ არსებობს ჰარმონია სულისა და სხეულის ერთიანობის გარეშე და რომ ყველა კულტურული ადამიანი რაფინირებულ ინტელიგენტად მაშინ ჩაითვლება, თუ იგი სულიერთან ერთად ფიზიკური კულტურის სიკეთესაცაა ნაზიარები. თავად ბატონი რეზო აქაც მაგალითს იძლეოდა. ყველამ კარგად იცის ნადირობით მისი უსაზღვრო გატაცების ამბავი. მან იცოდა, რომ ბუნების შვილმა არ უნდა ამოიკვეთოს ფეხი ბუნებიდან, რომ მშობლიურ მთა-ბარში ხეტიალი ერთნაირად ასაზრდოებს და ამდიდრებს ადამიანს როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად.

დიახ, ბატონ რეზო თაბუკაშვილზე მის სიცოცხლეში იმდენი არ დაწერილა და თქმულა, რასაც სამშობლოსათვის ხანთლად ანთებული ეს კაცი იმსახურებდა. ბოლო ხანებში ნაკლი ერთგვარად შეივსო. მომავალი მეტს იტყვის.

თენგიზ ბაჩიკილაძე.

# იმედიანად დაიწყეს

### მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის წყალბურთელთა ტურნირში მართლაც უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, არც იყო გასაკვირი: თითოეულ რესპუბლიკაში ბავშვთა და მოზარდთა სპორტში მუშაობა ძირითადად სწორედ იქით არის მიმართული, რომ რაც შეიძლება ძლიერი სპორტსმენები გაგზავნონ სპარტაკიადებზე და საუკეთესო შედეგებს მიაღწიონ. მოსწავლეთა სპარტაკიადები ბავშვთა და მოზარდთა სპორტში მომუშავე მწვრთნელებისა და სპეციალისტების მუშაობის შეფასების ერთგვარ კრიტერიუმადაც ითვლებოდა. ჩვენი საუკეთესო სპორტსმენების დიდი ნაწილის წარმატებები სწორედ სასპარტაკიადო ტურნირებიდან იღებს სათავეს.

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც ტურნირის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება, საკმაოდ დამაჯერებლად გამოვიდა სარბიელზე. მისი მეტოქე პირველ ტურში ბელორუსიის ნაკრები იყო, რომელსაც საუკეთესო სამეულში მოხვედრა აქვს მიზნად დასახული; ამიტომაც, როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა მეტად დაძაბულად წარიმართა, თუმცა ჩვენი წყალბურთელების უპირატესობა მაინც აშკარა გახდა და უკვე პირველი პერიოდისთვის ისინი იგებდნენ შეხვედრას — 3:2. მომდევნო ორ პერიოდში კიდევ უფრო იმრავლა ჩვენი ჭაბუკების ზუსტმა ტყორცნებმა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გოგიშვილი, კლდიაშვილი, გვასალია, ოჰანესიანი და გვარამაძე. მესამე პერიოდის დასასრულს ჩვენები ოთხი ბურთის უპირატესობით იგებდნენ მატჩს, ბოლო, მეოთხე პერიოდში ბელორუსიელი წყალბურთელები შეეცადნენ გარდატეხა შეეტანათ მატჩში, რამდენიმე ეფექტური ბურთიც მოათავსეს თბილისელთა კარში, მაგრამ სტუმართა აქტიურობას ჩვენმა ჭაბუკებმა საპასუხო შეტევებით უპასუხეს და გოგიშვილმა (2) და გვასალიამ კიდევ სამი ბურთით დააწინაურეს თანაგუნდელები — 11:8 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს მასპინძლებმა. თუმცა ორივე გუნდს ჰქონდა უამრავი საგოლე მომენტი, მაგრამ თავდამსხმელები საკმაოზე მეტ შესაძლებლობებს უშვებდნენ ხელიდან. ეს შენიშვნა განსაკუთრებით საქართველოს ნაკრების წინა ხაზის მოთამაშეებს ეხებათ, პირველ მატჩში მოპოვებული გამარჯვება და საბრძოლო შემართება, რაც თითოეულ ჩვენს წყალბურთელში ვლინდება თამაშის მსვლელობისას, გვაიმედებს, რომ მომავალ შეხვედრებში ისინი უფრო უკეთეს შთაბეჭდილებას დატოვებენ. ერთი სიტყვით, პირველი გამარჯვება მოპოვებულია, ვნახოთ, რას მოგვიტანს ტურნირის შემდეგი დღეები.

I ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: მოლდოვა — აზერბაიჯანი — 14:8, მოსკოვი — უკრაინა — 4:4, სომხეთი — ყაზახეთი — 4:7, უზბეკეთი — თურქმენეთი — 11: 5, ტაჯიკეთი — ლენინგრადი — 7:3.

ლევან ჯავახიშვილი.

## გუშინ...

წყალბურთი: საქართველო — ტაჯიკეთი 9:7; რსფსრ — მოლდოვა 7:10; ყაზახეთი — თურქმენეთი 15:5; სომხეთი — უზბეკეთი 10:8; ლენინგრადი — ბელორუსია 5:11.

საქართველოს ნაკრებმა, ლენინგრადელებთან დარჩენილი მატჩის შედეგის მიუხედავად, მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.





### სპორტული ზაფხული-90



## ლაღობენ, ...დებიან...

...მ... ...ა, აქ ატარებენ ...ული ...კრობატიკის სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტული სკოლის აღსაზრდელები. წლეულს ქალაქს 250 სპორტსმენი ეწვია. მათ შორის არიან მხატვრული ტანვარჯიშის რესპუბლიკური სკოლის სპორტსმენებიც.

წვრთნა ორჯერადია. სტუმრები დილით თიანეთის სპორტულ სკოლაში ვარჯიშობენ, საღამოს კი სკოლა-ინტერნატის ხელისგულივით გადაშლილ ვრცელ ტერიტორიაზე.

წვრთნა რომ მოსაწყენი არ იყოს, ხშირად ეწყობა ფეხით ლაშქრობებიც. სპორტსმენები ეცნობიან კუთხის ღირსშესანიშნაობებს.

ჯემალ კასრაძის ფოტო-რეპორტაჟი.



# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ჯგუფი

### „იბერია" (თბილისი) — „ლიახვი" (ცხინვალი) 7:0 (1:0)

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 17 აგვისტო.

„იბერია": დევაძე, მაჰავარიანი, ცხადაძე, ქველაძე, ჯიშკარიანი, რევიშვილი, ქეცბაია, ჩიქოვანი, კაჰარავა (ყაველაშვილი), შონია (კერძევაძე), არზიანი.

„ლიახვი": სანაკოევი, ი. გობოზოვი, კახნიაშვილი (ქოქოევი), ვ. გობოზოვი, ბეხთაევი, მიხაილოვი, ძაგოევი, მარღიევი, ი. ჯიოევი, მაისურაძე, ა. ჯიოევი.

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი), მ. მიქაუტაძე, პ. დოგრაშვილი (ორივე — ქუთაისი).

გააფრთხილეს კახნიაშვილი („ლიახვი").

ცხინვალელ ფეხბურთელებს საქართველოს ჩემპიონატის არც ერთი შეხვედრა არ მოუგიათ და არც ამჯერად ველოდით მათგან რაიმე წარმატებას, მით უმეტს, ისინი დაგვიანებით ჩამოვიდნენ თბილისში და ნამგზავრები, დაღლილები, პირდაპირ მინდორზე გამოვიდნენ. და მაინც „ლიახვის" უნიათო თამაშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — მთელი მატჩის განმავლობაში ერთი ხეირიანი მომენტიც არ შეუქმნიათ, რომელიც ტაშს თუ არა, მოწონებას მაინც გამოიწვევდა მაყურებლებში. ისევ გამოცდილი იბერიელები თუ თამაშობდნენ ეპიზოდურად ოსტატურად და კმაყოფილებას იწვევდნენ გულშემატკივრებში, თუმცა პირველ ტაიმში ვერც „იბერიამ" ააწყო თამაში. ეგ იყო, მატჩის პირველსავე წუთზე შონიას ზუსტი პასის შემდეგ რევიშვილმა გახსნა ანგარიში.

მეორე ნახევარი თბილისელებმა დიდი უპირატესობით წარმართეს. უშეცდომოდ თამაშობდნენ ნახევარმცველები, რომელთაც მთლიანად დაიპყრეს მინდვრის შუაგული და სტუმართა გუნდის თავდამსხმელებს, მგონი, მეორე ტაიმში ბურთისათვის ფეხი არც დაუკარებიათ.

თბილისელები გამუდმებით უტევდნენ. 56-ე წუთზე ჯიშკარიანმა ორამდე გაზარდა ანგარიში, შემდეგ რევიშვილმა მესამე ბურთი გაიტანა. ამის შემდეგ ცხინვალელი ფეხბურთელები თითქოს გამოცოცხლდნენ, მაგრამ „იბერიამ" მაინც შეძლო ინიციატივის შენარჩუნება და ყაველაშვილმა (მე-60 წუთი) აიღო მეტოქის კარი, 66-ე, 70-ე და 76-ე წუთებზე კი რევიშვილმა, ჯიშკარიანმა და კერძევაძემ კიდევ 3 გოლი გაიტანეს.

ლევან ჯავახიშვილი

### „სამგურალი" (წყალტუბო) — „ცხუმი" (სოხუმი) 1:2 (0:0)

წყალტუბო. ცენტრალური სტადიონი. 15 აგვისტო.

„სამგურალი": მიქაძე, მუშკუდიანი (მოხეშვილი), ჩხაბერიძე, მ. ხურცილავა, ხუნდაძე, ხვიტია, ცნობილაძე (ზ. იონანიძე), კერესელიძე, გოგელიძე (ლ. ფესტვენიძე), ი. სიჭინავა, ხარაბაძე.

„ცხუმი": ჟორჟოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, თ. სიჭინავა, მალანია, ანალიშვილი, ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, გაბესკირია, კურგენიანი.

მსაჯები: თ. ლაცაბიძე, უ. ფურცელაძე, ი. შალამბერიძე (სამივე — თბილისი).

გააფრთხილეს: ვ. მუშკუდიანი, ა. კურგენიანი, გ. გოგრიჭიანი.

უამინდობის მიუხედავად, თამაშს 4 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. პირველ ტაიმში ორივე გუნდის კარებთან აშკარა საგოლე მომენტები შეიქმნა, სტუმართა მეკარემ ხვიტიასა და ჩხაბერიძის ძლიერი დარტყმები მოიგერია. მე-15 წუთზე წყალტუბოელთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი დარტყმა (მუშკუდიანმა თავის საჯარიმო მოედანზე წააქცია გაბესკირია), მაგრამ მალანიას დარტყმული პენალტი ძელმა „მოიგერია".

მეორე ტაიმი სოხუმელთა იერიშებით დაიწყო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ჯიშკარიანი და გოგრიჭიანი. სწორედ ამ უკანასკნელმა გამოიყენა მალანიას გადაცემა და დაახლოებით 16 მეტრიდან ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

მე-60 წუთზე ანალიშვილის დარტყმა ხელით მოიგერია „სამგურალის" ერთ-ერთმა მცველმა და მსაჯმა სამართლიანად დანიშნა პენალტი. გოგრიჭიანმა გამოიყენა ანგარიშის გაზრდის ეს რეალური შესაძლებლობა — 2:0.

დამარცხების საშიშროებამ გააქტიურა მასპინძლები და 79-ე წუთზე ხარაბაძემ შეძლო პრესტიჟის ბურთის გატანა. თამაშის ბოლომდე ორივე გუნდი ცდილობდა ცვლილება შეეტანათ ანგარიშში, მაგრამ ამაოდ. 2:1 — გაიმარჯვეს სოხუმელებმა.

თენგიზ პაპკორია,
„ლელოს" საკ. კორ.



„იბერია" — „ლიახვი". მატჩის ეპიზოდი.
ალექსანდრე კოტრიაშვილის ფოტო.

# „ახალი სეპარატისტები"?

გაზეთ „იზვესტიის" ყოველკვირეულ დამატება „ნედელიაში" (№ 31, 30 ივლისი) გამოქვეყნდა კორესპონდენცია კიევიდან.

„უკრაინის სპორტსახკომში გამართულ თათბირზე კომიტეტის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის მუშაკმა, გუნდების მწვრთნელებმა, აგრეთვე, ჟურნალისტებმა აზრი გამოთქვეს, რომ უკრაინული ფეხბურთი უნდა წავიდეს ქართული ფეხბურთის გზით და გამართოს საკუთარი, განცალკევებული ჩემპიონატი.

მოითხოვდნენ რა საკავშირო ჩემპიონატიდან განცალკევებას, ამ აზრს თათბირის მონაწილენი ასაბუთებდნენ იმით, რომ საკავშირო კალენდრის შეხვედრათა განრიგი წარამარა ირღვევა და ამას მხოლოდ ქაოსი შეაქვს ყველა ლიგის გუნდების საქმიანობაში. წლეულს შექმნილმა ე. წ. „ბუფერულმა" ზონამაც კი ვერ გააუმჯობესა მდგომარეობა. პირიქით, იგი მატერიალურ ზარალსაც აყენებს სამეურნეო ანგარიშზე მყოფ გუნდებს, ვინაიდან მათ შორეული მგზავრობა უწევთ ხოლმე მეტოქეებთან სათამაშოდ. ხაზს უსვამდნენ იმასაც, რომ დამოუკიდებლობის მიღებისა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში გაერთიანების შემთხვევაში უკრაინულ ფეხბურთს შესაძლებლობა მიეცემა ევროპის საკლუბო სარბიელზე გაიყვანოს ერთბაშად რამდენიმე გუნდი.

აქტიურად დაუჭირა მხარი სსრ კავშირის ჩემპიონატიდან გასვლის იდეას სიმფეროპოლის „ტავრიის" მწვრთნელმა ნ. პავლოვმა, რომელმაც წინადადება შეიტანა განცალკევება მოხდეს დაუყოვნებლივ (აღსანიშნავია, რომ სიმფეროპოლის „ტავრიას" ამჟამად უმაღლეს საკავშირო ლიგაში გადასვლის შანსი არა აქვს).

რესპუბლიკის ფეხბურთის სპეციალისტთა შორის არიან საწინააღმდეგო შეხედულების ადამიანებიც. მაგალითად, ზაპოროჟიეს „მეტალურგის" პრეზიდენტმა გ. ჟიზდიკმა განაცხადა:

— უკრაინის დამოუკიდებელი ჩემპიონატი აბსურდული ჩანაფიქრია. იგი კარგს არაფერს მოგვიტანს, გარდა იმისა, რომ მთელი უკრაინული ფეხბურთი ჩამოქვეითდება მეორე ლიგის ახლანდელი ზონალური ტურნირის დონემდე...

ზაპოროჟიეს „მეტალურგის" მთავარმა მწვრთნელმა ი. ნადეინმა დაუმატა, რომ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობით უკრაინის გუნდებს საშუალება აქვთ სისტემატურად დაუპირისპირონ თავისი სათამაშო სტილი სხვა, მისგან სრულიად განსხვავებულ სტილსა და სისტემებს.

შეიძლება, რამდენიც გვნებავთ, იმდენი ვაკრიტიკოთ ვ. ლობანოვსკი კონკრეტული ტურნირისთვის მზადების პროცესში დაშვებული შეცდომებისთვის, მაგრამ მის საფეხბურთო საქმის ღრმა ცოდნაში ეჭვი არავის ეპარება. აი, ვ. ლობანოვსკის აზრი:

— კარგი იქნებოდა, თუ [illegible] პუბლიკის საუკეთესო [illegible] ძლებდნენ უკრაინის სახელით გასვლას ევროპულ და მსოფლიო სარბიელზე, მაგრამ თუ უეფა-მ და ფიფა-მ ასეთი უფლებები უკრაინას არ მიანიჭეს, იზოლაციამ შეიძლება უკან დაგვწიოს.

უმაღლესი ლიგის სხვა გუნდების წარმომადგენლებმა („დნეპრი", „შახტიორი", „მეტალისტი") დამოუკიდებელი ჩემპიონატის წინააღმდეგ გაილაშქრეს. მათი აზრით, თუ უკრაინის დამოუკიდებელი ჩემპიონატი მოეწყო, ეს გამოიწვევს წამყვანი კლუბების თამაშის კლასის დაქვეითებას და მაშინ, მაყურებელი აღარ ივლის ფეხბურთზე, შესაბამისად ამისა, სამეურნეო ანგარიშზე მყოფი კლუბებიც გაკოტრდებიან".

ეგორ ხმუროვი.

კიევი.

„ლელოს" რედაქციისაგან: ამ წერილის გამოქვეყნების მიზანია საფეხბურთო ცხოვრებაში დღეს მიმდინარე პროცესების გაცნობა მკითხველისათვის. აქვე დავძენთ, რომ „ლელოს" რედაქცია ბევრ საკითხში არ იზიარებს წერილის ავტორისა და ყოველკვირეულის პოზიციას. ამავე მიზნით ეს მასალა „ნედელიადან" მცირეოდენი შემოკლებით გადმოვბეჭდეთ, ვინაიდან ზოგან მოშველიებულია ფეხბურთის „სპეციალისტთა აზრი" და მითითებული არაა კონკრეტულად ვინ არის ეს სპეციალისტი და რა პოზიცია უკავია.

## ფრანც ბეკენბაუერი:

# „მე მიყვარს ეს გუნდი..."



გფრ-ის ნაკრები გუნდის ერთი ჯგუფი არგენტინელებთან ფინალური მატჩის შემდეგ ზეიმობს გამარჯვებას. საკდეს-საქინფორმის ფოტოქრონიკა.

— „მექსიკაში — ეს არ იყო ჩემი გუნდი... დღეს ისინი ისეთ ფეხბურთს თამაშობენ, როგორსაც მე ვთამაშობდი თავის დროზე, მე მიყვარს ეს გუნდი" — განაცხადა „ბილდის" ფურცლებზე გფრ-ის ნაკრების უკვე ყოფილმა მწვრთნელმა, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მცველმა ფრანც ბეკენბაუერმა და გუნდის წევრები მოკლედ დაახასიათა.

**ბოდო ილგნერი** — 23 წლის. ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მეკარე, თერთმეტმეტრიანების „მომთვინიერებელი", განსაკუთრებული პიროვნებაა.

**კლაუს აუგენტალერი** — 32 წლის. ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო და თავიც დაანება ნაკრებში თამაშს, ლუდის დიდი მოყვარულია. „გუნდში მპირდებოდა დაცვის „შეფი", რომელიც უხელმძღვანელებდა დანარჩენებს".

**თომას ბერტჰოლდი** — 25 წლის. ადრე თავს „რაღაც-რაღაცეების" უფლებას აძლევდა. მაყურებელს იგი იმიტომ უყვარს, რომ ავტოგრაფებზე არასოდეს ამბობს უარს. „ელეგანტურია დაცვაში, ამ ხაზში მას ყველა პოზიციაზე შეუძლია თამაში".

**იურგენ კოლერი** — 24 წლის. როგორც იქნა დაოჯახდა. ჯერ ტრავმირებული იყო, ხოლო შემდეგ საუკეთესო ფორმაში შეხვდა პირველობას. „მის მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება ნაკლებად აქვს".

**გვიდო ბუხვალდი** — 30 წლის. ნამდვილი გმირი. მექსიკაში არაფრით გამოირჩეოდა, ამჟამად წარმოუდგენელია მის გარეშე თამაში: არა აქვს მნიშვნელობა, სად მოქმედებს — დაცვაში თუ ნახევარდაცვაში. მეტსახელად „დიეგოც" კი შეარქვეს.

**ანდი ბრემე** — 29 წლის. ადრე ფრანცს ნათქვამი ჰქონდა: „საუკეთესოთა შორის საუკეთესოა, მაგრამ ნაკლებად იყენებს თავის შესაძლებლობებს". ჰამბურგელმა გულთან ახლოს მიიტანა მწვრთნელის სიტყვები და აი, შედეგი — მშვენიერი ჩაწოდებები, მნიშვნელოვანი გოლები. კულისებში მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელს უწოდებენ.

**ჰანს პფლიუგლერი** — 30 წლის. „ჩემპიონატის ტურისტი". ითამაშა ერთი მატჩი. ბავარიელმა კოლუმბიელებთან შეხვედრაში დისკვალიფიცირებული ბრემე შეცვალა. ერთადერთი სტუდენტია გუნდში. ყველა აკრიტიკებს, მხოლოდ ფრანცი უჭერს მხარს.

**ოლაფ ტონი** — 24 წლის. ორი სერიოზული ტრავმის მიუხედავად, მოთმინებით, თავდაუზოგავად ვარჯიშობდა, მომღიმარე სახით კარგ განწყობილებას ქმნიდა გუნდში. ინგლისელებთან შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, დიდი ენერგიით იბრძოდა.

**თომას ჰესლერი** — 24 წლის. ცუდ ხასიათზე მყოფი არავის ახსოვს. ოქროსსაყურიანი „ჯუჯა" ცხოვრებაში ერთობ დაბნეულია — სულ ნივთებს ტოვებს. „მის მიერ უელსელებთან შეხვედრაში გატანილი გოლი რომ არა, ჩვენი გუნდი იტალიაში ვერ მოხვდებოდა".

**პიერ ლიტბარსკი** — 30 წლის. ყველაზე ნებისყოფიანი ნაკრებში. ისევე კარგად გაართვა თავი ტელეობიქტივს, როგორც მეტოქეს. მებრძოლი და შეუპოვარია. ამ თვისებებმა მას გუნდში გადამწყვეტ მომენტში დაუმკვიდრა ადგილი.

**უვე ბაინი** — 29 წლის. ხან უძლიერესია მოედანზე, ხან კი... „ტურისტი". მორიდებულია, ფულსა და სიტყვებს ჰაერზე არ ფანტავს. თვალებით გრძნობს სიტუაციას. შეიძლება უწინდელ ბეკენბაუერსაც კი შევადაროთ. „მომაკვდინებელი პასი აქვს".

**ლოთარ მათეუსი** — 29 წლის — გუნდის ძრავა, ორთქლმავალი, ჩემპიონატის სუპერ-ვარსკვლავი, შუამავალი მწვრთნელსა და გუნდის წევრებს შორის. „ჩემი უშუალო პარტნიორი. უკანასკნელი 8 კვირის მანძილზე ყველასთვის მაგალითი იყო".

**შტეფან როიტერი** — 23 წლის. გაჭირვების ტალკვესი, ეს ინგლისელებთან შეხვედრაშიც გამოჩნდა. მუდამ მოძრაობაშია. სწრაფი, როგორც ელვა და მდუმარე, როგორც თევზი, ძნელად იტანდა სათადარიგო სკამზე ყოფნას. „ბერტი ფოგტს ასეთი კაცი გამოადგება".

**ენდი მიოლერი** — 22 წლის. ჩემპიონატამდე გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრი, სწრაფია. გადაიტანა „მეორე რიგში" ყოფნა. სამაგალითო სათადარიგო მოთამაშეა. „გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრს მომავალი ჯერ კიდევ წინ აქვს".

**რუდი ფიოლერი** — 30 წლის. თამაშობს ყველა მატჩს ბოლომდე, შეუპოვარია. ვერცხლისფერი, ხუჭუჭა თმების გამო გუნდში „დეიდა ქეთის" ეძახიან. „რომაში" მისი იტალიელი კოლეგა ჯანინი იძულებულია აღიაროს რუდის სიძლიერე. „მსოფლიოში საუკეთესო თავდამსხმელი. მისი შემცვლელი არავინ არის".

**იურგენ კლინსმანი** — 25 წლის. წინ და უკან შეუსვენებლივ მოძრაობს. საუკუნის მატჩი ჩაატარა ჰოლანდიელების წინააღმდეგ. ინგლისელებთან დაღლილი იყო. სპეციალობით ხაზიზია. ამჟამად ავსტრალიაში ისვენებს. „ფიოლერთან ერთად მსოფლიოს უძლიერეს თავდამსხმელთა დუეტია".

**კარლ-ჰაინც რიდლე** — 24 წლის. „ლაციომ" 13,5 მილიონი მარკა გადაუხადა „ვერდერს" — პასუხისმგებლობა დიდია. მშვენიერი მოთხილამურეა. „იგი ფოგტსის გუნდში ფიოლერს შეცვლის".

მალხაზ რადიანი

ეს მასალები ავტორმა გფრ-დან მოგვაწოდა.

## „იუვენტუსიდან" — „ლეჩეში"

მინსკში ჩამოვიდა ცნობილი ფეხბურთელი სერგეი ალეინიკოვი. მას აქ შეხვდნენ ადგილობრივი კორესპონდენტები. ფეხბურთელმა განაცხადა: „იტალიელი მწვრთნელი დინო ძოფი და მე ბოლო მომენტამდე ვიმედოვნებდით, რომ „იუვენტუსიდან" ერთად გადავიდოდით „ლაციოში". ამ ახალ კლუბში დინო ძოფი კი გადავიდა, მაგრამ ვინაიდან გუნდიდან წასვლა არ ისურვა არგენტინელმა ტროლიომ, მისი კონტრაქტი კი მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მთავრდება, მე მივიღე იტალიის სხვა კლუბის „ლეჩეს" წინადადება და იქ ვითამაშებ."

„ლეჩეში" გადასვლაზე ს. ალეინიკოვმა მიწვევა მიიღო ზბიგნევ ბონეკისგან, რომელიც ამ კლუბის მწვრთნელად დაინიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გასამდა

(დასასრული)

ქტობრივად, გამორიცხული იყო. სირაძემ, მაგალითად, 6 შეხვედრა ჩაატარა და ყველა დიდი უპირატესობით მოიგო. ასევე უდავო იყო გაბუნიას გამარჯვება ხუთ შეხვედრაში (ერთხელ ჩვენმა მოჭიდავემ დაისვენა).

ეს კი არა, გუნდმა ხელიდან გაუშვა მესამე უმაღლესი ჯილდოც. თბილისელი ჯამბულ ფუტკარაძე (48 კგ. „შევარდენი", მწვრთნელი გ. ჯანელიძე) ფინალურ ბრძოლაში სულ წინ იყო. იგი იგებდა შეხვედრას სომხეთის წარმომადგენელ რ. სიმონიანთან, მაგრამ ბოლო წამზე კიდევ ერთი ილეთის ჩატარება გადაწყვიტა, გაუფრთხილებლად „შეუვარდა" მეტოქეს და.... დამარცხდა. რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტი მარცხი იყო, მაგრამ, რა გაეწყობა, როცა მოჭიდავეს გამოცდილება აკლია? სხვა მის ადგილზე უპირატესობის შენარჩუნებას შეეცდებოდა. მან კი ბრძოლის ეფექტური დაბოლოება ისურვა და ამის გამო დაისაჯა.

ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქუთაისელი კახაბერ მელაძეც (87 კგ. „მართვე", მწვრთნელი ჯ. კოსტავა). ფინალური ბრძოლის ბოლო წამი მისთვისაც საბედისწერო იყო, თუმცა ასეთი დიდი ტურნირის დებიუტანტისთვის არც ვერცხლის მედალი არის ურიგო „ნადავლი".

ორი მოჭიდავე — ოზურგეთელი ელისე ჩხარტიშვილი და სოხუმელი მურად ნაჭყებია — ვერ მოხვდა პრიზიორთა შორის, მაგრამ მწვრთნელი მათი გამოსვლითაც კმაყოფილია. რაც მთავარია, ჩვენი გუნდის საერთო წარმატებაში ამ დუეტმაც შეიტანა თავისი წვლილი.

დათო დავითაიაზე (გუნდის უფროს მწვრთნელზე) ამბობენ, იღბლიანი კაციაო. ბედი სპორტში მართლაც საჭიროა, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა წარმატების თავი და თავი მაინც კვალიფიკაციაა, საქმის ცოდნა, სპორტსმენებთან ურთიერთობის გამონახვის უნარი და, რაც მთავარია შრომა თავაუღებელი, კეთილსინდისიერი, აზრიანი. 1973 წელს დავითაიას მიერ მომზადებულმა გუნდმა გამარჯვება მოიპოვა პირველ საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში. 1984 წელს იგი პირველი იყო (ცხადია, გუნდთან ერთად) მოსწავლეთა სპარტაკიადაში, 1985 წელს — ჭაბუკთა თამაშებში და წლეულს — ისევ მოსწავლეთა სპარტაკიადაში. როცა კაცს ზურგს უმაგრებს ასეთი შედეგები, იღბალზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, უხერხულია.

| | |
|---|---|
| 1. საქართველო | — 266 ქულა |
| 2. ბელორუსია | — 224 |
| 3. უკრაინა | — 216 |
| 4. რუსეთის სფსრ | — 212 |
| 5. სომხეთი | — 198 |
| 6. მოსკოვი | — 194 |
| 7. მოლდოვა | — 114 |
| 8. უზბეკეთი | — 112 |
| 9. ყაზახეთი | — 102 |
| 10. ყირგიზეთი | — 100 |
| 11. აზერბაიჯანი | — 74 |
| 12. ლენინგრადი | — 61 |
| 13. ესტონეთი | — 48 |
| 14. ტაჯიკეთი | — 46 |
| 15. ლატვია | — 35 |
| 16. თურქმენეთი | — 29 |
| 17. ლიტვა | — 20 |

### 2|3 ქვარცხლბეკი

**42 კგ.** 1. ა. ტვერტინოვი (უკრაინა), 2. რ. ნიფტალიევი (ბელორუსია), 3. მ. ნოზაძე (საქართველო).

**45 კგ.** ი. ახმედოვი (ბელორუსია), 2. გ. ფრეწუაშვილი (საქართველო), 3. ვ. ტოკოიაკოვი (რსფსრ).

**48 კგ.** 1. რ. სიმონიანი (სომხეთი), 2. ჯ. ფუტკარაძე (საქართველო), 3. ა. ნაზარიანი (სომხეთი).

**52 კგ.** 1. დ. სირაძე (საქართველო), 2. ა. ორლოვი (ყაზახეთი), 3. ბ. ამბარცუმოვი (მოსკოვი).

**56 კგ.** 1. ვ. დუკა (მოლდოვა), 2. ს. მანუკიანი (სომხეთი), 3. გ. ლელაძე (საქართველო).

**60 კგ.** 1. მ. ოსტოვი (მოსკოვი), 2. ე. შახლაროვი (აზერბაიჯანი), 3. ა. თადევოსიანი (სომხეთი).

**64 კგ.** 1. ლ. გაბუნია (საქართველო), 2. ა. მუსაევი (უზბეკეთი), 3. ვ. დეობალდი (ყაზახეთი).

**69 კგ.** 1. ს. პორტნიაგინი, 2. ს. კობზევი (ორივე — მოსკოვი), 3. გ. გოიაევი (საქართველო).

**74 კგ.** 1. ნ. აბრაჟევიჩი (ბელორუსია), 2. ა. მარტიროსიანი (სომხეთი) 3. კ. აბულაძე (საქართველო).

**80 კგ.** 1. ი. ტარასოვი (რსფსრ), 2. რ. აფციაური (საქართველო), 3. ს. ბედნი (უკრაინა).

**87 კგ.** 1. მ. შებზუხოვი (რსფსრ), 2. კ. მელაძე (საქართველო), 3. ა. კანოვალჩიკი (ბელორუსია).

**+87 კგ.** 1. დ. მაიენკო, 2. ა. კოლესნიკოვი (ორივე — რსფსრ), 3. ს. კონონენკო (უკრაინა).

# გიორგი ბაბილოძე



გაისად, აპრილში, 80 წელი შეუსრულდებოდა.

ნაცნობ-მეგობრები, ტანვარჯიშის ძველი თაყვანისმცემლები, უბრალოდ, „გოგლიკოს" ეძახდნენ. ხაოცრად უხდებოდა ეს მოფერებითი სახელი ამ სიკეთის, დიდსულოვნების, თავმდაბლობისა და კაცურკაცობის განსახიერებას.

„რგოლების მეფედ" იცნობდა ტანვარჯიშის სამყარო გ. ბაბილოძეს — უდრეკ სპორტსმენს, მოხდენილი, დიდოსტატური ვარჯიშით ალტაცებაში რომ მოჰყავდა სპორტის მოყვარულები.

9 წლისა შეეჭიდა იგი პირველად ურჩ რგოლებს და 21 წლისამ უკვე დიდ საკავშირო ტურნირში იასპარეზა ლენინგრადში. იასპარეზა და ყველა მოხიბლა. მან ერთადერთმა მიიღო უმაღლესი შეფასება — 20 ქულა (მაშინ ეს ტანვარჯიშში მაქსიმუმი იყო). მრავალჭიდში გ. ბაბილოძის წინ მხოლოდ ხწორუპოვარი გულო რცხილაძე და მოსკოველი ბორის ახტაფიევი აღმოჩნდნენ, ხწორედ იმ დღეებში უწოდა ნევისპირელთა ერთ-ერთმა გაზეთმა ჩვენს ნიჭიერ ტანმოვარჯიშეს „რგოლების მეფე".

მას შემდეგ გ. ბაბილოძეს მრავალი გამარჯვება მოუპოვებია როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, მრავალჯერ უსახელებია ქართული ტანვარჯიში. ბრწყინვალე პედაგოგების — გიორგი ეგნატაშვილისა და არჩილ ბაქრაძის საყვარელი მოწაფე პირველი საცდელსაჩვენებელი სკოლიდან, მოგვიანებით თავად გახდა ახალგაზრდების საუკეთესო აღმზრდელი. რომელი ერთი მისი მოწაფე ჩამოვთვალოთ — სერგო ჯაიანი და ნოდარ ბაზუტაშვილი, ნოდარ და ჯემალ ფრიდონიშვილები, იური აივაზიანი და ბორის აბრამიშვილი...

მაგრამ „გოგლიკო-მასწავლებელი" მხოლოდ პრაქტიკულ საქმიანობას როდი მისდევდა — სამ ათეულ წელზე მეტი, როგორც ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი, სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც ეწეოდა, გამოქვეყნებული აქვს მრავალი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი. ბოლოს ისევ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეების აღზრდას დაუბრუნდა — მეოთხედი საუკუნე ილვწოდა უფროს მწვრთნელად ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშულ სკოლაში, მისი უპირველესი მასწავლებლის გიორგი ეგნატაშვილის სახელს რომ ატარებს.

ქართული ტანვარჯიშის მესაძირკვლეთაგან ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ქვეყნის დამსახურებული მწვრთნელის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის გიორგი (გოგლიკო) ბაბილოძის გარდაცვალებამ ყველას დაგვწყვიტა გული.

ცხოვრებიდან წავიდა შესანიშნავი პიროვნება, იმთავითვე ქართული ტანვარჯიშის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი, სანიმუშო აღმზრდელი.

გ. ბაბილოძის ნათელი ხსოვნა დავიწყებას არასოდეს მიეცემა. შთამომავლობა ამ ნათელ კაცს მუდამ მადლიერებით მოიხსენიებს.

**საქართველოს სპორტსახკომი, ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია, ფიზკულტურის ინსტიტუტი, გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშის სკოლა, გაზეთ „ლელოს" რედაქცია.**

### ტელეტაიპი - მკითხველი

● **სეკეშფეხერვარი** (უნგრეთი). აქ მიმდინარე იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე (თანამედროვე ხუთჭიდში) ორი დღის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო უნგრეთის გუნდმა. პირად ჩათვლაშიც დაწინაურდა უნგრეთის წარმომადგენელი ფერენც კატონა.

● **ჰელსინკი.** კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება მოიპოვა შვეციის გუნდმა. მეორე ადგილი დაიკავა მისისიპის შტატის უნივერსიტეტის (აშშ) კოლექტივმა. ტალინის „კალევი" ერთი დამარცხებით მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა.

● **ნიუ-ჰეივენი** (აშშ). ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე ანდრეი ჩესნოკოვმა მესამე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან ამერიკელი ჯიმ გრები დაამარცხა 7:6, 6:3.

● **ციურიხი.** მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენა ამერიკელმა ლეროი ბარელმა მოიგო — 10,13. ქალთა შორის ამავე დისტანციაზე უძლიერესი იყო იამაიკელი მერლინ ოტი — 10,95.

### „სპორტლოტო"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1990 წლის 32-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან.** ტირაჟში დაშვებულია 1753951 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (34) მოგება 2446 მანეთია, ოთხისთვის (1682) — 55, სამისთვის (34354) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 38.821 ვარიანტი. 6-0, 5-0, 4-31, 3-809.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** ტირაჟში დაშვებულია 18.050.642 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (65) მოგება 9231 მანეთია, ოთხისთვის (12883) — 88, სამისთვის (305955) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 472.260 ვარიანტი. 5-6 (ყველა — თბილისი), 4-292, 3-7798.

32-ე და 23-32-ე ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით.

### „სპორტპროგნოზი"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 1990 წლის 32-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 4.134.697 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (39) მოგება 1.846 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (1,398) — 103 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (21.474) — 23 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 166.578 ვარიანტი. 13-2 (თბილისი, წითელწყარო), 12-83, 11-999.

33-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით.

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტპროგნოზის" კალათბურთში ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის თამაშებზე შედგენილი „C-8" სპეცტირაჟის შედეგები:

ტირაჟში დაშვებულია 872.372 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (18.408) მოგება 70 კაპიკია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (84.761) — 40 კაპიკი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (169.240) — 40 კაპიკი.

„C-8" სპეცტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით.



# ინგლისელები მწარედ მოტყუვდნენ

**ფოლკლენდის** 1982 წლის ომით გამოწვეული ცხრაწლიანი უბრობის შემდეგ, როგორც იქნა, შერიგდნენ ბრიტანელი და არგენტინელი მორაგბეები. ახლახან, 14 ივლისიდან 4 აგვისტომდე, ინგლისის ეროვნულმა ნაკრებმა ამერიკული რაგბის ამ „სადროშოში" შვიდმატჩიანი ტურნე გამართა.

არგენტინელები დიდი ხნის უნახავ სტუმრებს ამჯერად ისე დიდგულად ვერ დაუხვდნენ, როგორც 70-იანი წლების მიწურულიდან მოყოლებული 80-იანი წლების შუახანებამდე სჩვეოდათ. იმ დროს ხომ არგენტინის ეროვნული ნაკრები, მეტსახელად „პუმები" რომ ჰქვია, კაპიტნისა და ჩინებული დამრტყმელის უგო პორტას წყალობით მსოფლიოში არავის უდებდა ტოლს. ახლა კი არგენტინელი რაგბის ქომაგები იმასაც მოესწრნენ, რომ 1991 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ მატჩში მათი სათაყვანებელი გუნდი ივნისში, შინ, ბუენოს-აირესში დამარცხდა კანადის სუსტად შერაცხულ გუნდთან (15:19). რითაც ამ უკანასკნელს დაუთმო პირველობა ამერიკის ზონაში, თავად კი მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე მეტად არასასურველ კომპანიაში — ავსტრალიისა და უელსის გუნდებთან მოხვდა.

ბოლო ხანებში არგენტინელთა დასუსტების ამბავი, რა თქმა უნდა, ინგლისშიც კარგად იცოდნენ. ეტყობა, ამიტომ იყო, ნაკრების ექსმა მოთამაშემ — მორკინალებმა: ექფორდმა, რიჩარდსმა და თიიგმა, უკანა ხაზელებმა: ენდრიუმ, გასქოთმა და რორი ანდერვუდმა — ზაფხულში, არდადეგების დროს ნაკრებში სათამაშოდ რომ ვერ მოიცალეს, ანდა ინგლისიდან შორს გამგზავრება რომ არ ისურვეს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მსოფლიო რაგბისთვის ასეთი მოუცლელობა ჩვეულებრივი ამბავია, რაკილა მორაგბეები მოყვარული სპორტსმენები არიან და საზონათშორის პერიოდს, როგორც მოესურვებათ, ისე ატარებენ ხოლმე.

ასე იყო თუ ისე, ინგლისელთა მენეჯერმა ჯეფ ქუქმა და მწვრთნელმა როჯერ ათლიმ ეკვატორს ქვემოთ წასაყვანად 29 მორაგბე, მათ შორის — 14 ახალბედა შეარჩიეს. ეტყობა, გუნდის ხელმძღვანელებიც „სასიამოვნო მოგზაურობას" ელოდნენ და ახალბედათა გამოცდაც სურდათ. არადა, ინგლისელებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ ტურნე ბრიტანული საშინაო სეზონის დამთავრებიდან ორთვენახევრის თავზე იწყებოდა. ამასთან, გამოცდილ მოთამაშეთა და ახალბედათგან შეკოწიწებულ გუნდს გაუჭირდებოდა უცხო გარემოში წარმატებით ასპარეზობა.

სტუმრები ვარაუდში მწარედ რომ მოტყუვდნენ, ტურნეს დასაწყისშივე გამოჩნდა. ინგლისელებმა წააგეს პირველივე შეხვედრა — ბუენოს-აირესის კლუბ „ბანკო ნასიონთან" (21:29), რომელშიც კვლავ უბადლოდ ითამაშა ორმოცს მიტანებულმა პორტამ და 7 გოლით 21 ქულა მოაგროვა. მეორე თამაშში სტუმრებმა რის ვაინაჩრობით, სახელდობრ კი დასკვნით ათ წუთში შეგდებული ორი საჯარიმოს წყალობით, აჯობეს ტუკუმანის პროვინციას — 19:14. ამ ულიმღამო გამარჯვებას ორი უსახელო მარცხი მოჰყვა, თანაც ორივე — პროვინციულ გუნდებთან: ინგლისის ეროვნულ(!) ნაკრებს ჯერ ბუენოს-აირესის ნაკრებმა (ფაქტიურად, არგენტინის ნაკრების მესამე (!) შემადგენლობამ) მოუგო — 26:23, შემდეგ — ერთ-ერთმა რიგითმა პროვინციამ — კუიომ — 22:21 (ქალაქ მენდოსაში). აღსანიშნავია, რომ ეს კუიოს პირველი გამარჯვებაა არგენტინაში დღემდე სტუმრად ნამყოფი ეროვნული ნაკრებების წინააღმდეგ.

ასე მარცხიანი სტარტის შემდეგ მწვრთნელებმა პირველი ტესტისათვის გუნდში ოთხი ახალბედალა დატოვეს და ბუენოს-აირესის „ველეს სარსფილდზე" გამართულ თამაშში, უპირატესად მორკინალთა აქტიურობის ხარჯზე, მოიგეს კიდეც — 25:12 (13:9). ინგლისელთაგან ლელოები გაიტანეს შერკინების შემკვრელმა რაიანმა და ზანგმა გარემარბმა ოთიმ, მცველმა ჰოჯქინსონმა კი ერთი ლელო გარდასახა და 5 საჯარიმოც შეაგდო. მასპინძელთაგან 4 საჯარიმო მარცხენა გარემარბმა ერმან ვიდუმ გაიტანა.

წარმატებამ ინგლისელებს ხასიათი გამოუკეთა, მაგრამ გუნდის შეუთამაშებლობამ ტურნეს ბოლოს მაინც იჩინა თავი: ბოლოსწინა მატჩი სტუმრებმა ძლივს მოუგეს კორდოვას პროვინციას — 15:12, მეორე ტესტი კი, ისევ ბუენოს-აირესში, წააგეს — 13:15 (10:9), თუმცა თამაშის დამთავრებამდე ათი წუთი რომ რჩებოდა, 13:12-ზე იგებდნენ. მაგრამ აქ ვიდუმ ამ მატჩში მეხუთედ ზუსტად დაარტყა საჯარიმო, რითაც ერთგვარი შვება მოჰგვარა არგენტინელთა ხელმოცარულ მწვრთნელ რიკარდო ორაილის, რომელიც სამწლიანი ზეობის შემდეგ, როგორც ადრევე ჰქონდა გამოცხადებული, ამ ტესტის დამთავრებისთანავე გადადგა.

ტურნეს საბოლოო შედეგი ასეთია: 7 თამაშიდან ინგლისელებმა მოიგეს სამი და წააგეს ოთხი, ტესტსერია კი ფრედ — 1:1 დამთავრდა. ახლა ჯერი არგენტინაზეა: „პუმები" ნოემბერში საპასუხო ტურნეს გამართავენ დიდ ბრიტანეთში.

(საქ. ინფ.)

რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე, კორექტორები მ. ძქამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი" — 93-97-20, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხაშურაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20